

**ზოგადი ელექტრონიკა.
(შუასემესტრული გამოცდის ნიმუში)**

Question 1

ნივთიერების ელექტროგამტარობას განსაზღვრავს:

Select one:

- a. ატომის გარე ორბიტებზე მოძრავი ელექტრონები;
- b. ატომის ყველა ორბიტაზე მოძრავი ელექტრონები;
- c. ატომის შუალედურ ორბიტებზე მოძრავი ელექტრონები.

Question 2

რა გავლენას ახდენს უკუმაბვლა p-n გადასასვლელზე:

Select one:

- a. უკუმაბვლის მიერთებისას p-n გადასასვლელის პოტენციალური ბარიერის სიმაღლე უცვლელი რჩება;
- b. უკუმაბვლის მიერთებისას p-n გადასასვლელის პოტენციალური ბარიერის სიმაღლე იზრდება;
- c. უკუმაბვლის მიერთებისას p-n გადასასვლელის პოტენციალური ბარიერის სიმაღლე მცირდება.

Question 3

ძალური დიოდების დანიშნულებაა:

Select one:

- a. დაბალი და ამაღლებული სიხშირის ცვლადი ძაბვის გამართვა;
- b. სუსტი ელექტრული სიგნალების გაძლიერება;
- c. მაღალი სიხშირის ცვლადი ძაბვის გამართვა;
- d. ცვლადი ძაბვის დასტაბილურება.

Question 4

შოტკის დიოდები ძირითადად გამოიყენება:

Select one:

- a. დაბალი სიხშირის სიგნალების გასაძლიერებლად;
- b. მცირე სიდიდის ცვლადი დენების გასამართავად;
- c. მაღალი სიხშირის სიგნალების გასაძლიერებლად.
- d. ზემოდალი სიხშირის იმპულსურ სქემებში;

Question 5

დინისტორი ეწოდება:

Select one:

- a. ოთხშრიანი ნახევარგამტარულ ხელსაწყოს ორი საკონტაქტო გამომყვანით;
- b. შემხვედრ-პარალელურად ჩართული ორი ოთხშრიანი ნახევარგამტარული სტრუქტურის ხელსაწყოს, ორი საკონტაქტო გამომყვანით.
- c. ოთხშრიანი ნახევარგამტარულ ხელსაწყოს სამი საკონტაქტო გამომყვანით;

Question 6

ფოტოტირისტორი არის:

Select one:

- a. ოპტიკური გამოსხივების მიმღები ხელსაწყო;
- b. გალვანური ფოტოელექტრონული ხელსაწყო;
- c. ოპტიკური გამოსხივების წყარო.

Question 7

ყოველი გამმართველი მოწყობილობის პრინციპულად აუცილებელ ელემენტს წარმოადგენს:

Select one:

- a. ვენტილური ბლოკი და ფილტრი;
- b. ტრანსფორმატორი და ვენტილური ბლოკი;
- c. ვენტილური ბლოკი, ფილტრი და სტაბილიზატორი.
- d. მხოლოდ ვენტილური ბლოკი;

Question 8

ფილტრის გაგლუვების (ფილტრაციის) კოეფიციენტი ეწოდება:

Select one:

- a. ფილტრის შესავალზე მოქმედი გამართული ძაბვის პულსაციის კოეფიციენტის შეფარდებას ფილტრის გამოსავალზე მიღებული ძაბვის პულსაციის კოეფიციენტთან;
- b. ფილტრის შესავალზე მოქმედი გამართული ძაბვის საშუალო მნიშვნელობის შეფარდებას ფილტრის გამოსავალზე მიღებული ძაბვის საშუალო მნიშვნელობასთან.
- c. ფილტრის გამოსავალზე მიღებული ძაბვის პულსაციის კოეფიციენტის შეფარდებას ფილტრის შესავალზე მიწოდებული გამართული ძაბვის პულსაციის კოეფიციენტთან;

Question 9

ორ p-n გადასასვლელიან ტრანზისტორებს ბიპოლარულს უწოდებენ იმის გამო, რომ:

Select one:

- a. მის ელექტროდებში დენის გავლის პროცესში მონაწილეობს ორი ნიშნის მუხტი;
- b. მას აქვს ორზე მეტი საკონტაქტო გამომყვანი.
- c. მის სტრუქტურაში შედის ერთმანეთზე მოქმედი ორი p-n გადასასვლელი;

Question 10

საერთო ემიტარით ჩართული ტრანზისტორის მოკვეთის რეჟიმში მუშაობას შეესაბამება:

Select one:

- a. გამოსავალი მახასიათებლის ჰორიზონტალურთან მიახლოებული უბანი.
- b. გამოსავალი მახასიათებლის საწყისი, მაღალი ციკაზობის უბანი;
- c. ნულოვანი ბაზის დენის შესაბამისი გამოსავალის მახასიათებლის ჰორიზონტალური უბანი;